საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 1 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უახლოეს მორიგ პლენარულ სხდომაზე წარდგენის მიზნით გადმოგეგზავნათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თანდართულ მასალებთან ერთად (№09-01-08/29, 01.05.2017).

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2017 წლის 5 მაისის №1297 წერილის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ განიხილა და უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად მოამზადა, კომისიის მიერ 2017 წლის 1 მაისის სხდომის შედეგად უმაღლესი საბჭოსათვის წარმოდგენილი დადგენილების პროექტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რედაქტირებული ვარიანტი და კომისიის დასკვნა.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე

დავით ბაციკაძე

09-01-08/32
16 05 2017
ფურცელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2017 წლის 16 მაისის სხდომაზე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2017 წლის 5 მაისის №1297 წერილის საფუძველზე განიხილა უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების საკითხი.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებით უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ დამტკიცებული კვოტების გათვალისწინებით კომისიამ მოამზადა და უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად მხარი დაუჭირა, კომისიის მიერ 2017 წლის 1 მაისის სხდომის შედეგად, უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი დადგენილების პროექტის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რედაქტირებულ ვარიანტს, რომელზეც მომხსენებლად დაინიშნა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე დავით ბაციკაძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 09.12.2016) პირველი მუხლის:

ა) II პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„II. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია:
1. ცოტნე ანანიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
2. ილია ვერძაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
3. ვლადიმერ მგალობლიშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება“
4. ნუგზარ სურმანიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
5. ელგუჯა ბაგრატიონი – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
6. პეტრე ზამბახიძე – დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი“.

ბ) IV პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„IV. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია:
1. ნინო ჩხეტია – ფრაქცია „ქართული ოცნება“
2. დავით ბაციკაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
3. ირაკლი ჭეიშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება“
4. მერაბ კარანაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
5. გია აბულაძე – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
6. გიორგი ცინცქილაძე – დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

როგორც ცნობილია, 2017 წლის 20 აპრილს უმაღლესი საბჭოს წევრმა პეტრე ზამბახიძემ გააკეთა განცხადება, როგორც საჯარო, ასევე წერილობითი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასვლის თაობაზე.

აღნიშნული გარემოება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არის ფრაქციის მიერ უმაღლესი საბჭოს შესაბამის კომისიებში წარდგენილი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველი.

პროექტის მიღების მიზეზს ასევე წარმოადგენს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2017 წლის 5 მაისის №1297 წერილი, რომლითაც საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას ეცნობა ფრაქციის გადაწყვეტილება საკუთარი წევრების სხვადასხვა კომისიებში დანიშვნის შესახებ.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

დადგენილების პროექტის შესაბამისად, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კვოტით უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიაში და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიაში დანიშნულ უმაღლესი საბჭოს წევრს პეტრე ზამბახიძეს უწყდება კომისიის წევრის უფლებამოსილება. ამასთანავე, პეტრე ზამბახიძე პირადი განცხადების საფუძველზე, დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრის კვოტით შეყვანილი იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიაში.

პროექტის თანახმად, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კვოტით ელგუჯა ბაგრატიონი არჩეულ იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიაში, ხოლო ამავე ფრაქციის წევრი გია აბულაძე – საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიაში.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილების იმ პუნქტების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შედის ცვლილება

II. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია:

1. ცოტნე ანანიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
2. ილია ვერძაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
3. ვლადიმერ მგალობლიშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება“
4. ნუგზარ სურმანიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
5. პეტრე ზამბახიძე – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

IV. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია:

1. ნინო ჩხეტია – ფრაქცია „ქართული ოცნება“
2. დავით ბაციკაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
3. ირაკლი ჭეიშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება“
4. მერაბ კარანაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
5. პეტრე ზამბახიძე – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
6. გიორგი ცინცქილაძე – დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი